




## ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილება

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა [ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციის](#) გათვალისწინებით კონტრციკლური ბუფერის დაწესების ჩარჩოს განახლების გადაწყვეტილება მიიღო. სტრესული პერიოდებისთვის კაპიტალის ბუფერების დასაგროვებლად, ბაზელის კომიტეტმა ქვეყნებს ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერის დაწესება შესთავაზა. თუკი არსებული სტანდარტული კონტრციკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი ნულის ტოლია და დადებით მნიშვნელობას ჭარბი დაკრედიტების შემთხვევაში იღებს, ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი ნორმალურ პირობებშიც დადებითი იქნება (მეთოდოლოგიის გასაცნობად იხ. დანართი). ქვეყნების მზარდმა ნაწილმა საბაზისო განაკვეთად პოზიტიური ბუფერი უკვე დააწესა. აღნიშნული ქვეყნებისთვის ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი 1%-სა და 2%-ს შორის მერყეობს. ეროვნული ბანკი იკვლევს ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერის დაწესების საერთაშორისო გამოცდილებას და ბუფერის ზომას შემდეგი კომიტეტის შეხვედრაზე განსაზღვრავს.

ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ფინანსურმა სექტორმა მაღალი ეკონომიკური ზრდის დროს სტრესულ პერიოდებში გამოსაყენებლად კაპიტალის ბუფერები დააგროვოს და განახლებული მეთოდოლოგიის დამტკიცებამდე კონტრციკლური ბუფერის მოთხოვნა უცვლელად, 0%-ზე, დატოვა. მიმდინარე პერიოდში საკრედიტო აქტივობა მდგრად დონეზეა, ბანკების ფინანსური მაჩვენებლები გაუმჯობესებულია, ეკონომიკური ზრდა მაღალ დონეზე ნარჩუნდება, ხოლო უძრავი ქონების ბაზარზე ფასებისა და ქირის ზრდის ტენდენცია შეინიშნება. არსებული ტენდენციის გათვალისწინებით, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის კვლავ თვლის რომ, მნიშვნელოვანია ფინანსურმა სექტორმა კაპიტალის ბუფერები დააგროვოს და სტრესულ პერიოდებში გამოიყენოს, როგორც ეს პანდემიის დასაწყისში მოხდა. რეგიონში არსებული ვითარებიდან მომდინარე რისკების გათვალისწინებით, კაპიტალის ბუფერების დაგროვება ბანკებს რისკების მიტიგაციაში დაეხმარება და სტრესის პერიოდში ეკონომიკის დაფინანსების გაგრძელებას და სწრაფ აღდგენას შეუწყობენ ხელს.

ფინანსური სექტორი მდგრადობას ინარჩუნებს და ეკონომიკის დაკრედიტებას შეუფერხებლად განაგრძობს. 2022 წლის განმავლობაში, საბანკო სექტორის აქტივების ხარისხი, მომგებიანობა, კაპიტალისა და ლიკვიდობის მაჩვენებლები გაუმჯობესდა, რამაც ბანკების დიდ უმეტესობას პანდემიის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების სებ-ის მიერ დადგენილ ვადებზე ადრე აღდგენის საშუალება მისცა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში

გატარებული ღონისძიებებისა და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად, საკრედიტო აქტივობა შენედა. 2022 წლის ოქტომბერში, აგვისტოსთან შედარებით, სესხების წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.8% შეადგინა. გასული ერთი წლის განმავლობაში, სესხების მშპ-თან ფარდობა შემცირდა, რაც მაღალი ეკონომიკური ზრდისა და გაცვლითი კურსის გამყარების ეფექტს ასახავს. შედეგად, 2022 წლის მესამე კვარტალში სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა მის გრძელვადიან ტრენდს ჩამორჩება, თუმცა საქართველოში სესხების მშპ-თან ფარდობის არსებული დონე, მსგავსი ქვეყნების მაჩვენებლებთან შესადარის დონეზეა.



წყარო: სებ; საქსტატი

\*ნომინალური მშპ-ის ზრდა ბოლო 4 კვარტლის მშპ-ის წლიურ ზრდას ასახავს.

\*\*სესხები მოიცავს ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ გაცემულ სესხებსა და, ასევე, კომპანიების მიერ ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს.

\*\*\* სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი წარმოადგენს სხვაობას სესხების მშპ-თან ფარდობასა და მის გრძელვადიან ტრენდს შორის. ტრენდის შესაფასებლად, ბაზელის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოყენებულია HP ფილტრი.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მუდმივ მონიტორინგს, საშინაო და საგარეო რისკების შეფასებას და შესაძლო რისკების მინიმიზაციისთვის მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს საჭიროებისამებრ გამოიყენებს.

ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის მორიგი სხდომა 2023 წლის 15 მარტს გაიმართება.

## დანართი: კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის განახლებული ჩარჩო

კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი ბაზელ III-ის ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია, რომელიც მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. აღნიშნული მიიღწევა ჭარბი დაკრედიტების პერიოდებში კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის ზრდით. უარყოფითი შოკების დროს კონტრციკლური ბუფერი უნდა დაეხმაროს ფინანსურ სისტემას, რომ მკვეთრად არ შეიზღუდოს ეკონომიკის დაკრედიტება და ამით დამატებით არ გაუარესდეს როგორც ფინანსური სექტორის, ისე მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა - აღნიშნული მიიღწევა სტრესული პერიოდების დროს კონტრციკლური ბუფერის შემცირებით/გაუქმებით.

ცხრილი 1. კონტრციკლური კაპიტალის მოთხოვნა

	ამოქმედებული /გამოცხადებული	COVID-19 პანდემიის პერიოდში	COVID-19 პანდემიის შემდგომ <sup>4</sup>
ბელგია <sup>1,5</sup>	0.50%	↓ 0.00%	⇒ 0.00%
გერმანია <sup>1,5</sup>	0.25%	↓ 0.00%	↑ 0.75%
დიდი ბრიტანეთი <sup>2</sup>	2.00%	↓ 0.00%	↑ 2.00%
ლუქსემბურგი <sup>1</sup>	0.50%	⇒ 0.50%	⇒ 0.50%
ნიდერლანდები <sup>1</sup>	0.00%	↓ 0.00%	↑ 1.00%
საფრანგეთი <sup>1</sup>	0.50%	↓ 0.00%	↑ 0.50%
შვეიცარია <sup>2</sup>	2.00%	↓ 0.00%	↑ 2.50%
შვედეთი <sup>1</sup>	2.50%	↓ 0.00%	↑ 2.00%
ჰონგ-კონგი <sup>2</sup>	2.50%	⇒ 1.00%	⇒ 1.00%
ბულგარეთი <sup>3</sup>	1.50%	⇒ 0.50%	↑ 2.00%
დანია <sup>3</sup>	2.00%	↓ 0.00%	↑ 2.50%
ირლანდია <sup>3</sup>	1.00%	↓ 0.00%	↑ 0.50%
ისლანდია <sup>3</sup>	2.00%	↓ 0.00%	↑ 2.00%
ლიეტუვა <sup>3</sup>	1.00%	↓ 0.00%	↑ 1.00%
ნორვეგია <sup>3</sup>	2.50%	⇒ 1.00%	↑ 2.50%
სლოვაკეთი <sup>3</sup>	2.00%	⇒ 1.00%	↑ 1.50%
ჩეხეთი <sup>3</sup>	2.00%	⇒ 0.50%	↑ 2.50%
ხორვატია <sup>3</sup>	0.00%	0.00%	↑ 0.50%
ესტონეთი <sup>3</sup>	0.00%	0.00%	↑ 1.00%
უნგრეთი <sup>3</sup>	0.00%	0.00%	↑ 0.50%
რუმინეთი <sup>3</sup>	0.00%	0.00%	↑ 1.00%

### ცხრილის აღნიშვნები

<sup>1</sup> BCBS და EU წვერი ქვეყნები

<sup>2</sup> BCBS წვერი ქვეყნები

<sup>3</sup> EU წვერი ქვეყნები

<sup>4</sup> მოიცავს როგორც უკვე ამოქმედებულ, ასევე გამოცხადებულ ბუფერებსაც

<sup>5</sup> ქვეყნები, რომლებსაც პანდემიამდე მხოლოდ გამოცხადებული ჰქონდათ დადებითი CCyB ბუფერი

მიუხედავად იმისა, რომ კონტრციკლური ბუფერი თავდაპირველად გამიზნული იყო გადაჭარბებული დაკრედიტების თანმდევი სტრესული პერიოდებისთვის, პრაქტიკაში ამ ბუფერის შემსუბუქება სრულიად განსხვავებული ბუნების მქონე შოკებით, პანდემიითა და სხვა მოვლენებით, იყო განპირობებული.

COVID-19 პანდემიის დაწყებამდე ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის (BCBS) წვერი ქვეყნებიდან მხოლოდ რვას ჰქონდა დაწესებული ან გამოცხადებული დადებითი კონტრციკლური ბუფერი, რომელთა მოცულობა 0.25%-დან 2.5%-მდე მერყეობდა. ხოლო ევროკავშირის (EU) წვერი ქვეყნებიდან, რომლებიც ამავდროულად არ არიან BCBS-ის წვერები, დამატებით რვა ქვეყანას ჰქონდა დაწესებული დადებითი კონტრციკლური ბუფერი (იხ. ცხრილი 1).

რამდენიმე ქვეყანამ სექტორულ რისკებზე ორიენტირებული კონტრციკლური ბუფერის ჩარჩო დანერგა, მაგალითად - შვეიცარიამ კონტრციკლური ბუფერი კონკრეტული

სექტორული რისკების მიტიგაციისთვის გამოიყენა და შესაბამისი მოთხოვნა ადგილობრივი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ რისკის პოზიციებზე დააწესა. მსგავსი მიდგომა ესპანეთის საკანონმდებლო ჩარჩოშიც არის ასახული, თუმცა ესპანეთში ჯერ-ჯერობით პოზიტიური სექტორული კონტრაციკლური ბუფერი არ დაუწესებიათ. გერმანიამ და ბელგიამ მსგავსი რისკების საპასუხოდ სისტემური რისკების ბუფერი დააწესეს შესაბამის რისკის პოზიციებზე, თუმცა სისტემური რისკების ბუფერი, კონტრაციკლური ბუფერისგან განსხვავებით შოკურ პერიოდებში ავტომატურ შემცირებას არ ექვემდებარება.

COVID-19 პანდემიაზე საპასუხოდ, BCBS-ის იმ რვა წევრი ქვეყნიდან, რომლებსაც დადებითი კონტრაციკლური ბუფერი ჰქონდა გამოცხადებული, შვიდმა სრულად ან ნაწილობრივ შეამცირა იგი, ხოლო EU-ს წევრი ქვეყნებიდან, რომლებიც ამავდროულად არ არიან BCBS-ის წევრები, რვავე ქვეყანამ სრულად ან ნაწილობრივ შეამცირა კონტრაციკლური ბუფერი.

საზედამხედველო ორგანოების მიერ კონტრაციკლური ბუფერის შემსუბუქების მთავარ მიზანს ბანკების მიერ რეალური ეკონომიკის შეუფერხებლად დაკრედიტების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. პანდემიის დასრულების შემდგომ, BCBS-ის წევრი შვიდი ქვეყნიდან ხუთმა უკვე გაზარდა ან გამოაცხადა კონტრაციკლური ბუფერის ზრდა. ხოლო EU-ს წევრი ქვეყნებიდან, დამატებით ოთხმა ქვეყანამ გაზარდა ან გამოაცხადა კონტრაციკლური ბუფერის ზრდა.

მნიშვნელოვანია შევხვით ბაზელის მიერ პანდემიამდე შემოთავაზებულ კონტრაციკლური ბუფერის დაწესების მეთოდოლოგიასაც. სხვადასხვა ქვეყნის საზედამხედველო ორგანოები, მათ შორის სებ-იც, კონტრაციკლური ბუფერის დაწესებისას, ბაზელ III-ის მიერ შემოთავაზებული სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობისა და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორების გარდა, სხვა მრავალ საზომს იყენებენ, როგორცაა საკრედიტო ტენდენციები, ფინანსური სექტორის ციკლური პოზიციის სხვა მაჩვენებლები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები. ამასთანავე, ნაცვლად მექანიკური და ავტომატიზებული მიდგომისა, ეყრდნობიან ექსპერტულ შეფასებებს. პანდემიამ ცხადყო კონტრაციკლური ბუფერების საჭიროება, თუმცა, პანდემიის დაწყებამდე, ქვეყნების ნაწილს კონტრაციკლური ბუფერი დაწესებული არ ჰქონდა, რადგან ინდიკატორები მკაფიოდ ან საერთოდ არ მიუთითებდა კაპიტალის გაზრდის საჭიროებაზე. ამასთან, საჭირო მონაცემების შეგროვება და ანალიზი გარკვეულწილად დროში შეფერხებით (ე.წ. ლაგით) ხასიათდება, ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების მიხედვით, პოზიტიური კონტრაციკლური ბუფერის დაწესების შემთხვევაში, ამ ნორმასთან შესაბამისობაში მოსასვლელად ბანკებს გადაწყვეტილების მიღებიდან 12 თვიანი ვადა ეძლევათ. შესაბამისად, დადებითი კონტრაციკლური ბუფერის ამოქმედება შესაძლოა, დაგვიანდეს.



ბაზელის კომიტეტის<sup>1</sup> მიერ მიმდინარე შემოთავაზებული ნეიტრალური პოზიტიური კონტრაციკლური ბუფერი სწორედ ზემოთ ხსენებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას ემსახურება. იგი არის შოკურ პირობებში გამოთავისუფლებადი (დროში ცვალებადი) ბუფერი, რომელიც არ არის დაკავშირებული წინმსწრებ საკრედიტო ზრდასთან. ამასთან, მისი დაწესების მეთოდოლოგია ისეთი რისკების მიტიგაციასაც ახდენს, როგორცაა (ცვლადების) გაზომვის პრობლემები, ინფორმაციის შეგროვების შეფერხება და მათზე დაგვიანებული რეაგირება.

თუკი სტანდარტული კონტრაციკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი ნულის ტოლი უნდა იყოს, რომელიც სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის კოეფიციენტის გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შემთხვევაში დადებით მნიშვნელობას მიიღებს, ნეიტრალური პოზიტიური კონტრაციკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი ნორმალურ პირობებშიც დადებითი იქნება. კონტრაციკლური ბუფერის ჯამური მოთხოვნა კი ორი კომპონენტის დაჯამებით მიიღება:

$$CCyB_{\text{მთლიანი}} = CCyB_{\text{ნეიტრალური}} + CCyB_{\text{ციკლური}}$$

სადაც,  $CCyB_{\text{ნეიტრალური}}$  - აღნიშნავს კაპიტალის კონტრაციკლური ბუფერის საბაზო/ნეიტრალურ დონეს, რომელსაც დადებითი მნიშვნელობა ნორმალურ პირობებშიც გააჩნია, ანუ მაშინაც კი, როდესაც, ეკონომიკის აღდგენა კრიზისის შემდგომ დასრულებულია, საკრედიტო აქტივობა არ არის ჭარბი, საბანკო სისტემის აქტივების ხარისხი გაუმჯობესებულია, მომგებიანობა მდგრადია, ხოლო ეკონომიკის მიმდინარე ტენდენციები დადებითი. მეორე მხრივ,  $CCyB_{\text{ციკლური}}$  - აღნიშნავს ციკლურ მოთხოვნას, რომელიც სესხების ჭარბი ზრდის ფონზე ციკლური რისკების მატების შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს. ციკლური რისკები მოიცავს მაგალითად, ჭარბვალუანობის ზრდას, აქტივების ფასების ბუმტის ფორმირებას, ეკონომიკის გადახურებასა და სხვა რისკებს.

ქვეყნების მზარდმა ნაწილმა, როგორცაა ავსტრალია, ნიდერლანდები, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰონგ-კონგი, ესტონეთი, ლიეტუვა და ირლანდია, საბაზისო განაკვეთად პოზიტიური ბუფერის შემოღება დაიწყო. აღნიშნული ქვეყნებისთვის ნეიტრალური პოზიტიური კონტრაციკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი 1%-2%-ს შორის მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ზოგმა ქვეყანამ ნეიტრალური პოზიტიური განაკვეთის შემოღებისას გარკვეულწილად შეამცირა სხვა ბუფერები ან მოთხოვნები, ხოლო ნაწილ ქვეყნებში მსგავს შემცირებას ადგილი არ ჰქონია.

COVID-19 პანდემიის პერიოდში ქვეყნების უმეტესობამ, რომლებსაც კონტრაციკლური ბუფერის დადებითი მოთხოვნა ჰქონდათ დაწესებული, პანდემიის დაწყებისთანავე შეამცირა ის, ხოლო სხვა ქვეყნებმა არა-კონტრაციკლური კაპიტალის მოთხოვნები შეამცირეს ან/და ბანკებს კომბინირებული ბუფერის გამოყენებისკენ მოუწოდეს. შესაბამისად, პანდემიამ დაგვიანა კონტრაციკლური ბუფერების საჭიროება, რომელთა გამოთავისუფლებაც ბანკებს სტრესულ პერიოდებში საშუალებას მისცემს დამატებითი შეზღუდვების გარეშე გააგრძელონ

<sup>1</sup> Buffer usability and cyclicalities in the Basel framework, October, 2022 - <https://www.bis.org/bcbs/publ/d542.pdf>

საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის დაკრედიტებას. ამასთან, მართალია, კონტრციკლური ბუფერის ჩარჩო კაპიტალის განაწილების ავტომატურ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს, თუმცა შოკის სიმძიმიდან გამომდინარე, საზედამხედველო ორგანოებმა შესაძლოა დისკრეცია გამოიყენონ და კაპიტალის განაწილებასთან დაკავშირებით გარკვეული ლიმიტები დააწესონ.

COVID-19 პანდემიის დაწყებისთანავე, ბაზელის კომიტეტი და ადგილობრივი საზედამხედველო ორგანოები მოუწოდებდნენ ბანკებს გამოეყენებინათ კაპიტალის არამკაცრი ბუფერები, როგორცაა კონსერვაციის ბუფერი, სისტემური რისკების ბუფერი და პილარ 2-ის სარეკომენდაციო მოთხოვნები (P2G). აღნიშნული ბუფერების გამოყენების აუცილებლობა უფრო მეტად იდგა ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც პანდემიამდე დადებითი კონტრციკლური ბუფერი არ ჰქონდათ დაწესებული. მაგალითად, ავსტრიამ ბანკებს რეკომენდაცია მისცა გამოეყენებინათ სისტემური რისკების და სისტემურად მნიშვნელოვანი სხვა ბანკებისთვის (O-SII) დაწესებული ბუფერები; ესტონეთმა შეამცირა სისტემური რისკების ბუფერი 1%-დან 0%-მდე; ფინეთმა შეამცირა სისტემური რისკების ბუფერი და ბანკებისთვის ინდივიდუალურად დაწესებული კაპიტალის მოთხოვნები.

საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მითითების შესაბამისად, კომერციულ ბანკებს დროებით გაუუქმდათ კონსერვაციის ბუფერი და პილარ 2-ის მოთხოვნის ნაწილი (არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3-ის ოდენობით) რაც სისტემის მასშტაბით საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის 4.1%-ით შემცირებას უტოლდებოდა. აღნიშნულის მიზანი პოტენციური ზარალების განეიტრალება და ეკონომიკის დაკრედიტების ხელშეწყობა იყო, შესაბამისად ბანკებს შეღავათებით მოქმედების პერიოდში შეზღუდვით კაპიტალის განაწილება, ბონუსების გაცემა და ა.შ.

თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ბანკების უდიდესი ნაწილი კომბინირებული ბუფერის<sup>2</sup> ფარგლებში საქმიანობას თავს არიდებს. აღნიშნულის მიზეზი ერთი მხრივ შესაძლოა იყოს მოსალოდნელ ზარალებთან დაკავშირებული გაურკვევლობები - შოკურ პერიოდებში დაკრედიტების ზრდის ნაცვლად, ბანკები ამჯობინებენ ბუფერები პოტენციური ზარალების გასანეიტრალებლად შეინარჩუნონ.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ბანკები კაპიტალის კომბინირებული ბუფერების ფარგლებში საქმიანობს ერიდებიან, არის პარალელურად არსებული ლევერიჯის, MREL<sup>3</sup> და TLAC<sup>4</sup> მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ ქართული საბანკო სექტორისთვის, სადაც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების საშუალო წონა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია, ლევერიჯის მოთხოვნა შემზღუდველ ფაქტორს არ წარმოადგენს. ასევე, მართალია რეზოლუციის ჩარჩო ამოქმედებულია, თუმცა

<sup>2</sup> კომბინირებული ბუფერი - კაპიტალის კონსერვაციის, კონტრციკლურობის და სისტემურობის ბუფერების მოთხოვნების ჯამი.

<sup>3</sup> Minimum requirement for own funds and eligible liabilities - დასაშვები ვალდებულებებისა და კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა

<sup>4</sup> Total loss-absorbing capacity - მთლიანი დანაკარგების შეწოვის უნარი

TLAC და MREL მოთხოვნები ჯერ არ არის დანერგილი. შესაბამისად, ქართული საბანკო სექტორისთვის კომბინირებული ბუფერების ფარგლებში საქმიანობა კაპიტალის განაწილების კუთხით არსებულ შეზღუდვებთან ასოცირდება.

თუმცა უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ბანკები ცდილობენ, რომ მათი კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები კაპიტალის ჯამურ მოთხოვნებს, მათ შორის, კომბინირებულ ბუფერებს აღემატებოდეს, კაპიტალის განაწილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და ბუფერის დარღვევით გამოწვეული სტიგმაა.

მიუხედავად იმისა, რომ კომბინირებულ ბუფერებს არამკაცრი ბუნება აქვთ და ბაზელის კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩო მათი დარღვევის შემთხვევაში კაპიტალის განაწილებაზე პროპორციული შეზღუდვის დაწესების საშუალებას იძლევა, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ რვას აქვს დანერგილი აღნიშნული პროპორციული მიდგომა. დანარჩენი ქვეყნები კი კომბინირებული ბუფერის დარღვევის შემთხვევაში სრულად კრძალავენ კაპიტალის განაწილებას, შესაბამის რეგულაციებში ჩაშენებული შეზღუდვის ავტომატური მექანიზმისა თუ საზედამხედველო დისკრეციის გამოყენებით. მიმდინარე მდგომარეობით, კომბინირებული ბუფერის დარღვევის შემთხვევაში, სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების ჩარჩოც კაპიტალის განაწილების ავტომატურ შეზღუდვას ითვალისწინებს.

შესაბამისად, იმისთვის, რომ შოკურ პერიოდებში ეკონომიკის დაკრედიტება გაგრძელდეს, საჭიროა, საბანკო სისტემას გააჩნდეს ისეთი ბუფერები, რომელთა შემცირებაც შესაძლებელი იქნება და ბანკებს არ მოუწევთ არამკაცრი ბუფერების ნებაყოფლობით დარღვევა.